ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 151 (20897) — პარასკევი, 29 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.



მეცხოველეობა განსაკუთრებული საზრუნავია

დიდი მოლოდინი

ბატონთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამერვე ყრილობა ყველა მოუთმენლად მოელის.

ეს სავსებით გასაგებია, რადგან თვით პარტიის შიგნით და მის გარეთაც უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადაწყვეტის ყურეზე არა თუ წინსვლა, უბრალოდ არსებობაც კი შეუძლებელია.

პარტიის შიგნით... ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, ვიღაცა თუ არა ხელს ათეული წლობით დაკანონებულ დიქტატურაზე, ერთვის ბიუროკრატიულ მეთოდებზე, ვუშვებთ თუ არა რეალურ მრავალპარტიულობას, ნამდვილად ვაპირებთ თუ არა ცენტრისტული რეფორმების ძალისმიერ ტვინებისა და პერიფერიების პარტიულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, რა ვიკეთოთ შერეული ავტორიტეტის აღსადგენად, წარსულის დეფორმაციების გამოსასწორებლად, დროის მოთხოვნათა შესაბამისი მუშაობის სტილისა და მეთოდების დასამკვიდრებლად.

პარტიის გარეთ... რა ვუყოთ მოწყლავებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, როგორ გავუკვალოთ გზა საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს, რა გზებითა და საშუალებებით ვიჭრიბთ მსოფლიო ცივილიზაციისაგან ჩამორჩენის ძაძლევას, სულიერი და ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

ყრილობის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისთვის. საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის წარმატებული მუშაობა ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად რეალური პირობები შეიქმნება საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღსადგენად, მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

ერთი სიტყვით, საფიქრალი და განსასჯელი თავზე საყრელია. ამჯერ მათგანზე გულახდილად გვესაუბრებიან სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები, რომლებსაც ვუთმობთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მესამე გვერდს.

მაშ, დაველოდოთ ყრილობას და იმედი ვიქონიოთ!

მოსკოვში გამგზავრების წინ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუბარიძე მოსკოვში სკკპ XXVIII ყრილობაზე გამგზავრების წინ ეუბნება საქართველოსაგან ამ ყრილობის დელეგატთა დიდ ჯგუფს. საუბარი, მთელ ქვეყანაში და საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებთან ერთად, განსაკუთრებით შეეხო იმ პოზიციას, რომელთაც საკავშირო ფორუმზე უნდა წარდგენენ ჩვენი რესპუბლიკის ნარგაზავნილები. აღინიშნა, რომ ეს პოზიცია ერთობლივად შემუშავდა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის პირველ ეტაპზე. კერძოდ, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, მოსკოვში წარგზავნილები დაიცავენ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატთა კოლექტიურ აზრს იმის თაობაზე, რომ პარტია რადიკალურად უნდა განადგურდეს, ბოლო მოეღოს დოგმატიზმსა და კონსერვატიზმს შიგა პარტიულ ცხოვრებაში, ხოლო საქართველოს კომპარტია უნდა გახდეს რესპუბლიკის ნებაყოფლობით გაერთიანებულ მოქალაქეთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად დაისახავს ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების აშენებას და რეალურად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს. ის იმოქმედებს საკუთარი საპროგრამო და ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ყოველმხრივ გაითვალისწინებენ რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს. თვისებრივად სრულიად ახლებური უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებთან საქართველოს კომპარტიის ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც თანასწორუფლებიან, პარიტეტულ საწყისებს უნდა ემყარებოდეს. ყრილობის დელეგატებმა მიიჩნიეს, რომ ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების შესაბამისად, აუცილებელია სათანადო პრინციპული ხასიათის ცვლილებები შეიტანონ სკკპ XXVIII ყრილობისათვის მომზადებულ სკკპ პლატფორმისა და წესდების პროექტებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. № 3, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. დადგენილებას მეათე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„აღნიშნავს რა, რომ ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება — ჯერ არაარჩევითი ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტები), ხოლო შემდგომ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები — არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით (ე. წ. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 და 26 თებერვლის, 24 მარტის გადაწყვეტილებანი და სხვ.)“.

2. დადგენილებას ბოლოში დაემატოს შემდეგი ტექსტი: „დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს სსრ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის პრინციპულად ახალი, სუვერენული სახელმწიფოებისათვის შესაფერ რ ი ს ურთიერთობების დამყარების მიზნით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს 1921 წლის თებერვალ-მარტში რსფს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების უხეში დარღვევის ფაქტის აღიარება და მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგების სათანადო შეფასება რსფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

მძიმე წარსულის, გარეშე ძალაზე დაყრდნობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უდავო ფაქტის მიუხედავად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ითვალისწინებს პოლიტიკურ რეალიებს, სახელმწიფო ხელისუფლების ჩასახვისა და განვითარების ისტორიულ გამოცდილებას, საქართველოში თუნდაც ნაკლებად დემოკრატიული, მაგრამ მაინც არჩევითი პოლიტიკური ინსტიტუტების მოქმედებისა და მათი საკავშირო პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონირების ფაქტს, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ნებისმიერი ხელისუფლების არსებობის იურიდიული საფუძვლის შეფასებისას. დღეს მხოლოდ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს შეუძლია და უფლებამოსილია სამართლებრივი გზით შექმნას ყველა პირობა საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიულ, მრავალპარტიულ საწყისებზე აგებული ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებისათვის, საზოგადოების ყველა ფენისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც აუცილებელი საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული შემდგომი ნაბიჯების გადადგმისათვის.

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს კარგად ესმის ის უდიდესი პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც ეკისრება მას, მის თითოეულ წევრს საქართველოსათვის გადამწყვეტ ისტორიულ ეტაპზე, და მოუწოდებს ქართველ ხალხს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიონ სანუკვარ მიზანს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 ივნისი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაგრძელდეს მუშაობა „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ“ კანონის პროექტზე აღნიშნული კანონისა და „საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ კანონის პროექტის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 ივნისი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ

ხელმძღვანელობს რა ქართველი ხალხის ეროვნული სუვერენიტეტის იმპერატივებით, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით აღიარებული და გარანტირებული ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლების ხელშეუხებლობით, სხვა ნორმებით, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებით, აგრეთვე ჰელსინკისა და ვენის ფორუმების დასკვნითი და შემაჯამებელი აქტებით;

აღნიშნავს რა, რომ ქართველმა ხალხმა განახორციელა ეს უფლება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით;

აღიარებს რა საქართველოს უფლებას აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დაკარგა 1921 წელს რსფსრ მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, რაც ინტერვენციით, ოკუპაციითა და ფაქტობრივი ანექსიით გამოიხატა;

ვინაიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებამ საწყისი დაუდო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს, რისთვისაც საჭიროა ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, უკვე მიღწეულის დაცვა და დამოუკიდებლობისაკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, —

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმი საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე.

ამ მიზნით შეიქმნას კომისია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, აგრეთვე სპეციალისტების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლებისაგან და დაეკალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს განსაზღვროს კომისიის პერსონალური შემადგენლობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 ივნისი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მხარი დაეჭიროს საზოგადოებრივ აზრს, სტუდენტი ახალგაზრდობის და მშრომელთა წინადადებებს ქ. თბილისის კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, პირველი მაისისა და საქარხნო რაიონებისათვის სახელების გადარქმევის შესახებ, რომლებიც მოიწონეს შესაბამისი რაიონული საბჭოების სესიებმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

2. ეწოდოს კალინინის რაიონს — მთაწმინდის რაიონი, კიროვის რაიონს — კრწანისის რაიონი, ორჯონიკიძის რაიონს — ვაკის რაიონი, 26 კომისრის რაიონს — ისნის რაიონი, პირველი მაისის რაიონს — დიდუბის რაიონი და საქარხნო რაიონს — სამგორის რაიონი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 8 ივნისი.

კომბინირებული საკვების დამზადება

პირუტყვს მაძღრის გამოზამთრებას უმზადებენ გურჯაანის კომბინირებული საკვებისა და ხორცის წარმოების სამეურნეოთაშორისო გაერთიანების მშრომელები. მათ ვალდებულება იკისრეს ხეზონში დაამზადონ 1.500 ტონა სილოსი და ამდენივე მწვანე მასა. საკვების ამ რაოდენობას უკვე გადაამარხეს — დღესასთვის დამზადებულია ოთხი ათას ტონაზე მეტი კომბინირებული საკვები.

მექანიზატორები, რომლებმაც გადაამარხეს წლიურ დავალებას, განაგრძობენ მწვანე მასისა და სილოსის ჩადებას.

სურათზე: სახილოსე მასის დამზადება გურჯაანის კომბინირებული საკვებისა და ხორცის წარმოების სამეურნეოთაშორისო გაერთიანების მინდვრებში.

ს. უურაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყრილობა მუშაობას შეუდგა

27 ივნისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობამ, რომელზეც წარმოდგენილია 1500-ზე მეტი დელეგატი. ყრილობას სტუმრებად ესწრებიან რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგატებმა აირჩიეს სამანდატო კომისია და ხმის დამთვლელი კომისია.

შეკრებილებმა მოისმინეს წინა ყრილობაზე არჩეული საქართველოს სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, გასულ წელს ამ ორგანიზაციის საქმიანობის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი ადგილის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ და საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ ბენაძემ.

დელეგატებმა და სტუმრებმა მოისმინეს აგრეთვე ანგარიშები რესპუბლიკის სახალხო ფრონტის კომისიათა მუშაობის თაობაზე.

ორატორებმა პასუხი გასცეს შეკითხვებს.

საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

ოფიციალური ცნობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 28 ივნისის გრძანებულებით ამხ. ეიული კალისტრატეს ძე **შარტავა** დაინიშნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს პროფკავშირების რიგგარეშე ყრილობა გაიხსნება 29 ივნისს, 10 საათზე, საქართველოს პროფკავშირების კულტურის სახლში (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 43, მეტროს სადგური „დელისი“).

ყრილობის დელეგატთა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია იწყრმოებს იქვე, 8 საათიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ინიციატიული წესრიგის, დაგეგმვა თბილისში კვლავინდელივრად არის უმწვავესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც, ალბათ, კიდევ დიდხანს არ დაჭირდება საშველი, თუ რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ. ის ფაქტი, რომ ეს ფენომენი ერთ-ერთ ზომებს ეფუძნება, ჯერ-ჯერობით ვერ გვმატებს ბანსაკუთრებულ ოპტიმიზმს. იმ საბაბიანი მდგომარეობისათვის, ალბათ, რომელშიც რესპუბლიკის ... ქალაქი უნდა იყოს, ჯერ-ჯერობ ძალიან, ძალიან ბევრი ... უნდა გაკეთდეს.

ასეთია მთავარი დასკვნა, რომელიც გამოიტანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ... ზენიდიუმის მორიგ სხდომაზე ... ილისის სახალხო დეპუტატთა ... ალაქის საბჭოს აღმასკომის ... ბჭედმჯდომარის ნ. ანდრიაძის ანგარიშის განხილვის შემდეგ, რომელიც ეხებოდა ქალაქში სანიტარიული წესრიგის დამყარებისათვის გაწეულ მუშაობას. ... ინიშნა, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებ... შესაბამისი სამსახურების ... თობრივი ძალისხმევით შემ... ულ უკანონო სანაგვეების ... ეგი, ზოგიერთი მათგანის ... ვალს შენდება სკვერები, პა... ები. როგორც ქალაქის ნამ... ბატონ-პატრონეს შეაფ... ენ, ეს ... ეგი და ორგანიზაციები წმენ... ... ა და კეთილაწყობენ თავი... ... და მიმდებარე ტერიტორი... ... ახლი ტექნიკით აღჭურვის ... ... ადა. რამდენადმე მობილური ... ა ეკეთილური სამსახური, ... ელსაც ნაგავი გაეკეს. მაგრამ ... ლინდ ქალაქში — განსაკუ... ... ებთ მის გარეუბნებში, ცხი... ... ც ვითარება უკეთესობისა... ... ენ არ იცვლება.

... ეუბიყიანი, მოუვლელია ქალა... ... მთავარი პროსპექტი — რუსთაველის პროსპექტიც კი, მისი მიწისქვეშა გადასასვლელები. კვლავინდებურად ანტისანიტარია საზოგადოებრივ ადგილებში — რკინიგზის ვაგზლებსა და ავტოსადგურებში, აეროპორტში. არის ჯერ კიდევ ქუჩები, რომლებიც საერთოდ არ ... ვგება, რომლებზეც თვეებს და ... ნამავლობაში არ გამოდის ნაგვის ... ასაღები ტექნიკა. ცუდ მდგომარეობაშია ბევრი საცხოვრებელი სახლის, საწარმოსა და დაწესებულების ეზოები და სადარბაზოები, სარდაფები და ... ლიფტები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ანტისანიტარია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საავადმყოფოებში. ახალი მიკრორაიონებიც საცხოვრებელ უბნებში წარმოიშვა მწერებისა და მღრღნელების გამრავლების კერები. უარესდება ქალაქის ჰაერის აუზის სანიტარიული პარამეტრებიც. ყოველივეიერად ატმოსფეროში გამოიტყორცვება ჯანმრთელობისათვის ... ... ანი ათასობით ტონა ნივთიერ... ... ბი, მათგან ნახევარზე მეტი — ავტოტრანსპორტის გაუმართობის, უხარისხო საწვავის გამოა, რაც ამწვავებს ისედაც დაძაბულ ეკონომიკურ სიტუაციას ქალაქში.

გაანალიზეს რა შექმნილი ვითარება, განხილვის მონაწილეებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს ასეთი სავალალო სურათის მიზეზებს, აღნიშნეს, რომ აქ ... ავს იჩენს ბევრი მტკივნეული პრობლემა. ეს არის ჯერ კიდევ არასაკმარისი აღჭურვა სპეციალური ტექნიკით, არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა სპეციალური პრეპარატებით, შრომის ცუდი ორგანიზაცია, სანიტარიული სამსახურის კადრების დეფიციტი. ეს არის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობის ზრდა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ მომკითხველების გაძლიერება, რომლებისთვისაც სანიტარიული მდგომარეობა ისეთივე თანამდებობრივი მოვალეობა უნდა გახდეს, როგორც საწარმოო გეგმების შესრულება. აქ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს — მარტო საყვედურებითა და საჯარიმო სანქციებით იოლას ვერ გავალთ, და ამის გამო სხდომაზე გამოთქმეა ბევრი კონსტრუქციული წინადადება, მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები და დავალებანი. მაგრამ მთავარი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, ეს არის თბილისელთა დამოკიდებულება ყველა ამ პრობლემისადმი, რომელიც უფრო სხვათა მოიმედეობაა, ვიდრე ნამდვილად პატრიოტული, ქალაქის ბატონ-პატრონის შესაფერისი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეეზოვეთა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მუშაკთა ვერავითარი არმია, რაც უნდა დიდი და მობილური იყოს იგი, ვერ დაამყარებს ქალაქში სისუფთავეს, თუ თავად თბილისელები არ განიმსჭვალებიან საკუთარ სახლში, ეზოში, ქუჩაში, სამუშაოზე საქმის ვითარებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამასთან დაკავშირებით საგზობრივი სა-ბაასი გიმბართა მოსახლეობის სანიტარიული კულტურის ამაღლების საკითხებზე. ისე უნდა მოვქცეთ, რომ სისუფთავისა და წესრიგისათვის მოძრაობაში მონაწილეობა თითოეული ქალაქელის შინაგანი მოთხოვნილება გახდეს. ითქვა, რომ ამაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეასრულონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რომლებიც ეპიზოდურად, კამპანიურად კი არა, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ სისტემატურად უნდა აშუქებდნენ რესპუბლიკის დედაქალაქში სანიმშო სანიტარიული წესრიგის დამყარების პრობლემებს.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში საკმაოდ გაბმაურებული ღონისძიების შესახებ, რომელიც ჰოლანდიაში მოაწყო მრავალდარგოვანმა საწარმოო-დანერგვითმა ცენტრმა (კოოპერაციულ საწყისებზე) „იბერია-89“- მ.

როგორც ცნობილია პუბლიკაციებიდან, რომლებიც ჩვენს პრესაში გაჩნდა, გასული წლის ივლისში თბილისის საბჭოთა-ლოს რაიონში რეგისტრაციაში გატარებულმა ამ კოოპერატივმა დაიჩინა ჰოლანდიის ქალაქ ოლდენზაალში დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავად ტრადიციულ საცხენოსნო-სპორტულ დღესასწაული ქართველ ცხენოსანთა, კასკადიორთა, მოძღერალთა და მოცეკვავეთა მონაწილეობის ინიციატივა. დაღებული კონტრაქტის თანახმად, ჯგუფის წევრთა გამგზავრებასთან და ცხენთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მთელი ფინანსური ხარჯები აკისრა „იბერია-89“ იმ პირობით, რომ მას უნდა დარჩენოდა ცხენების შემდგომი გაყიდვის შედეგად მიღებული მთელი თანხა, აგრეთვე თვით წარმოდგენის შედეგად მიღებული ამონაგების 75 პროცენტი. ამ ღონისძიების დასაფინანსებლად კოოპერატივს 500 ათასი ფრანკი გამოუყო საფრანგეთს „არის-ნინრს“ ფირმამ, კიდევ 500 ათასი მანეთი მან სესხად აიღო კომერციული ბანკისაგან.

მიმდინარე წლის აპრილში ჰოლანდიაში გაიმგზავრა 125 კაცი და გაიგზავნა 65 ცხენი, რომელთაგან 50 შესყიდული იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. წარმოდგენამ, მის მონაწილეთა და პრესის აზრით, ბრწყინვალედ ჩაიარა, რასაც მოწმობს დღესასწაულზე განმეორებითი პრეზენტაციაც. მაგრამ ამ ღონისძიების ორგანიზაციამ მთელი რიგი მიზეზების გამო მეტად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რამაც განაპირობა კიდეც ამ საკითხის განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

როგორც გამოირკვა, სახეცირკის, კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების წარმომადგენლებისათვის, რომელთა ცხენები მონაწილეობდნენ დღესასწაულში, არც კი უცნობებია, რომ ჰოლანდიაში აუქციონზე ცხენების გაყიდვას აპირებდნენ. ამ ორგანიზაციებსა და კოოპერატივს შორის არც შესაბამისი ხელშეკრულება გაუფორმებიათ. პრინციპული უთანხმოების შედეგად არ გაყიდეს ცირკის კუთვნილი ცხენები და სენაკის რაიონის ერთი ცხენი, რომლითაც მწვრთნელი იყო ჩამოსული. სულ კოოპერატივმა გაყიდა 57 ცხენი. მათგან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი 49 ცხენი (ერთი გზაში დაიღუპა). ცხენების გაყიდვის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა 485 ათასი გულდენი შეადგინა, წარმოდგენის ამონაგებმა — 40 ათასი გულდენი, რომელთაგან 37 ათასი ღონისძიების მონაწილეებს დაურიგდათ.

განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იურიდიული თვალსაზრისით „იბერია-89“ კოოპერატივის მოქმედება უკანონოა, რადგან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კოოპერატივებს ეკრძალებათ საზღვარგარეთ ყოველი იმ საქონლის რეალიზაცია, რომელიც თავიანთი შრომით არ შეუქმნიათ, ხოლო რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა კუთვნილი დღესასწაულში მონაწილე ცხენებზე მათ არა ჰქონიათ მიღებული მასპინძლების თანხმობა. პრინციპული შეფასება მისცეს საქმის სხვა მხარესაც, რომ ადამიანთა უკმაყოფილება გამოიწვია. კერძოდ, კოოპერატივი მათ შეპირდა მოგზაურობის, კვებისა და დასვენების ნორმალურ პირობებს, შესაბამის გასამჯელოს. მაგრამ არც ერთი პირობა არ შეუსრულებიათ.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟსა და პროკურატურას დაავალა დეტალურად გაერკვნენ ამ საქმის არსში და მიღებული ღონისძიებების შესახებ მთავრობას მოახსენონ.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. ლობჟანიძის ინფორმაცია ბენზინით მომარაგებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში შექმნილი რთული სიტუაციის შესახებ. აღინიშნა, რომ სერიოზული შეფერხებები ნავთობის მოწოდებაში, მისი მოსალოდნელი შემცირება მეტად მწვავედ აყენებენ დღის წესრიგში საწვავის გაცემის ნორმირების პრობლემას. მაგრამ ეს არ უნდა შეეხოს აგროსამრეწველო კომპლექსს, რომლის ბენზინითა და სხვა საწვავ-საპოხი მასალებით შეუფერხებელ უზრუნველყოფაზე ბევრად არის დამოკიდებული წლევანდელი მოსავლის ბედი. ამავე დროს, ამჟამად ავლენენ შესაძლებლობებს, თუ როგორ შეიძინონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ბენზინი სახელმეკრულებო საწყისებზე, სწავლობენ გაცვლითი ოპერაციების, უმთავრესად, ხილზე, ციტრუსებზე, ღვინო-არყის ნაწარმზე გაცვლის პირობებს, რათა მაქსიმალურად უზრუნველყონ რესპუბლიკა საწვავით.

განიხილეს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სტაქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის, მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ასეთი ოჯახების დახმარების დამატებითი ღონისძიებების საკითხი. მიღებულია საქართველოს სპორტსაკომის წინადადება, რომ 1991 წლის აგვისტო-სექტემბერში ქალაქ ფოთში მოეწყოს ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი).

ჩაი—90

ასე ფოთს ვერ გავალთ...

ანუ, როცა არ ჩანს საერთო ძალისხმევა

გაზაფხულის მიწურული ცივი და წვიმიანი გამოდგა. ამიტომ მარშანდელთან შედარებით თითქმის ორი კვირით გვიან დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. გალის რაიონის მეურნეობების პლანტაციებში.

მართალია, ამით ბუნებამ თავისი მოულოდნელი შესწორება შეიტანა სოფლის მეურნეობის საშუშაოების მსვლელობის გრაფიკში, მაგრამ ზაფხულის თაკარა მზე მაინც თავის საქმეს აკეთებს და დღეისათვის ჩაის ბუჩქები ნაზი დუყებით არის გადახასხასებული.

მოსალოდნელი იყო, რომ რაიონის მეჩაიეები ყველა ძალას იხმარდნენ იმისათვის, რათა არ დაეკარგათ ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა და დროულად მოკრეფდნენ ისედაც მოგვიანებით შემოსულ მწვანე ფოთოლს. მაგრამ ყველგან ასე როდი ხდება. შემოსული ფოთოლი ბუჩქებზე უხეშდება, ხოლო ამ გარემოებას თავისი ბნელი საიდუმლოებაც ახლავს.

საქმე ის არის, რომ ზოგიერთ მეურნეობაში მეჩაიეები ხელმძღვანელების მდუმარე თანხმობით ელოდებიან, სანამ ყლორტები ერთი ორად წამოიზრდებიან, რათა შემდეგ ბასრი იარაღებით იოლად გადაჭრან. ამასობაში, სამწუხაროდ იკარგება არამცუდ დღევანდელი მოსავალი, არამედ საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება თავისთავად ხელს უშლის ხვალინდელ მოსავალს. ვინაიდან გადაუკრეფავ ბუჩქებზე ფერხდება შემდგომი ვეგეტაცია. საკვირველია, რომ ამ აგროტექნიკური წესის დარღვევას ზოგიერთ მეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა და ეს მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია; საბოლოო ჯამში მეჩაიეები კარგავენ კიდევ ერთჯერ კრეფის პერსპექტივას.

გარდა ამისა, მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე სხვა ბევრმა ნაკლოვანებამ იჩინა თავი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას იმაზე, რომ გამომეღვენდა პლანტაციების ცუდი მოვლის შედეგები.

ჩვენ ადგილზე გავეცანით სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციებში ჩაის კრეფის ავ-კარგს. კონკრეტულად კი ვიტყვით, რომ მეშვიდე ბრიგადის (ბრიგადირი ბ. ბაძაღუა) პლანტაციებში ფოთოლი გადაუხეშებულია, ბევრგან ენახეთ ისეთი ნაკვეთებიც, სადაც მკრეფავებს ნუ იტყვით და თურმე ჯერ ფეხიც არ შუდგამთ. იმ მიზეზით, რომ ეს პლანტაციები ახლაც არავისზე ყოფილა გაპიროვნებული, იქვე მეზობლად მდებარე მეორე ბრიგადის პლანტაციები, სადაც ბრიგადირი. ყოლბაია მუშაობს, სარეველებით არის დაფარული. ეკალბარდითა და სარეველებით დაჩაგრული აგრეთვე ყოფილი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციები, რომელიც ამჟამად აგროფირმა „ცხირს“ ეკუთვნის.

— ჩვენ უკვე ვღებულობთ ზომებს ჩაის მოსავლის აღებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, — გვითხრა აგროსამრეწველო კომბინატ „გალის“ გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ ბორის პაპასქუმამ, — არა გვაქვს უფლება მოსავალი დავკარგოთ, აქედანვე არ ვიზრუნოთ მის ხარისხზე, თუნდაც იმიტომ, რომ 43 ათასი ტონის ნაცვლად, ჩვენმა მეჩაიეებმა ტრადიციულად მომდინარე წელსაც იკისრეს, რომ არანაკლებ ხუთი ათასი ტონა ნედლეული, მოკრეფონ და გადაამუშაონ. ამისათვის ცოტა როდი გაკეთდა პლანტაციებში. აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა მათი დამუშავება. იმისათვის, რომ ნიადაგში რაც შეიძლება ნაკლები ნიტრატები მოხვდეს, ყოველ. მეურნეობაში გადახალისდა მინერალური სასუქების საჭირო დოზით შეტანის კარტოგრამები. რასაკვირველია, ჩვენ ბევრს ვთხოულობთ მეჩაიეებისაგან და ისინიც ყველა ძალას ხმარობენ იმისათვის, რომ ტრადიციულად შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები, მაგრამ მათთვის სათანადო პირობების შესაქმნელად ნაკლებად ვზრუნავთ და ხელს ვერ ვუწყობთ. ვერ იქნა და ვერ გადაწყდა მკრეფავების სპეციალისტამლით მომარაგების პრობლემა. მართალია, აფხაზეთის აგროსამრეწველო გაერთიანების ბაზამ 4.000 ცალი ელოფანის თხელი საწვიმრები და ბრეზენტის წინსაფრები გამოგვიზავნა, მაგრამ უხარისხობის გამო შეჩაიეები მათ ვერ იყენებენ. ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ დღეს, მეურნეობები ბრეზენტით არ მარაგდებიან, რათა საჭიროებისას ზედ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი დაყარონ, ან ნედლეულით დატვირთული მანქანების ძარების გადააფარონ: ამის გამო, ჯერ ერთი და მოსავალი ადგილზევე კარგავს თავის ხარისხს, მეორეც, სატვირთო მანქანის ძარიდან ქარს მიაქვს ფოთოლი. ამბობენ რესპუბლიკაში ბრეზენტი საჭირო რაოდენობით არ არისო, თუ ეს სიმართლეა, მაშინ საიდან მოაქვთ ეს საქონელი სოფლებსა და ქალაქებში ქორწილებისა თუ ქელეხებისათვის ფართოდ გადაჭიმული სეფეები გასამართავად?

ისიც სათქმელია, რომ ამ ბოლო ხანს გალის რაიონში უთვალავი კოოპერატივი გაიხსნა. ზოგან ამ დეფიციტური ბრეზენტისაგან დიდი რაოდენობით ხელოთმოძღვნებს ამზადებენ და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აგზავნიან სარეალიზაციოდ(?!)

მოკრეფილი ნედლეული რომ ფაბრიკებში გაგზავნამდე პლანტაციებში ადგილზე დაყარონ, ან ამ პაპანაქება სიცხეში მეჩაიეებმა თავი შეაფარონ, ამისათვის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უბრალო ფარდულებიც კი ვერ გაუმართავთ. ხეტყის, რუბეროიდისა და სხვა მასალების უქონლობას უჩივიან. ალბათ ასეა არის, მაგრამ ხომ გაგიგონიათ „თუ გული გულობს“...

საქმეთა სურათი ჩანს, რომ მოსავალს შეფერხებით იღებენ, რაც სათანადო ტექნიკის უკმარისობამ გამოიწვია. აი ასეა, რომ მეორე კვარტალი მთავრდება, ხოლო ჩაის საკრეფი მანქანა, „საქართველო“ გალის რაიონმა 22-ის ნაცვლად მხოლოდ 2 ცალი მიიღო, ხოლო მომმარაგებელმა ორგანიზაციამ რაიონში სათადარიგო ნაწილების მხოლოდ 30 პროცენტი გამოგზავნა. და ეს მაშინ, როდესაც წელს რაიონში მექანიზმებით 14 ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული უნდა მოიკრიფოს.

სიდის ცხაკაიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც წელს მექანიზმებით 1.170 ტონა ფოთოლი უნდა მოიკრიფოს, არ ყოფნით 3 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. სამივე კი განაწილებით პირველ კვარტალში უნდა მიეღოთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მეურნეობამ დაგეგმა ამ მანქანებით გარკვეული რაოდენობის ნედლეულის აღება, საიჯარო რგოლებიც დაკომპლექტდა, მაგრამ ამაოდ. დღეს ამ რგოლებზე გაპიროვნებულ 16 ჰექტარ პლანტაციებში ჩაი უკვე გადაიზარდა. საკრეფი მანქანები არ ჩანს და იძულებულნი არიან ნედლეული ხელით აიღონ. მეურნეობას აქვს 30 ცალი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. კრეფის ტემპი კი მაინც დაბალია. დღეისათვის მობილური მანქანებით მოკრეფილია 126 ტონა ნედლეული. ეს ჩამორჩენა კი ძირითადად იმით აიხსნება, რომ დაბალია ამ მანქანების წარმადობა. ცოტა დროს რიდი კარგავენ მექანიზატორები იმის გამო, რომ ხშირად მწყობრიდან გამოდის მანქანების გოფრირებული მილები. ალ ამ მეურნეობაში 26 ცალი ... მილი უნდა ჰქონოდათ, მაგ... ჯერ არცერთი არ მიუღიათ. მექ... ტორებსაც რაღა დარჩენიათ, ... ინ პრიმიტიულად არმონტეკ... ამ მილებს, მაგრამ ამგვარად გ... თებული საქმისა მოგებსენებ... და შრომა ნაყოფიერი ვერ არის.

— შარშან, — ამბობს მეურნეობის მთავარი აგრონომი გიგლა ჩიკვიტია — ხელით საკრეფი მანქანები ჩაგვბარებინეს და სამაგიეროდ 30 ცალი ახალი კონსტრუქციის აპარატი მოგვცეს. მაგრამ ვი ასეთ სიახლეს. ახალი აპარატები უფრო მძიმე გამოდგა, მეჩაიეები მას მარჯვედ ვერ ხმარობენ და კვლავ ძველი მოდელის აპარატებს ეძებენ.

ჩაის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბევრი რამ არის დამოკიდებული ნავთობპროდუქტების ბაზის მუშაობაზე. ბევრს ცდილობს გალის ბაზის დირექტორი ანატოლი ბულისკერია, მაგრამ ბენზინის მარაგის შექმნა ვერ მოხერხდა. ჯერ ერთი და რკინიგზით რეგულარულად არ მოდის ეს საწვავი, მეორედაც მის შესანახად არ გააჩნიათ საჭირო მოცულობის სათავსოები. ვერა და ვერ მოხერხდა გალის რაიონში გათვალისწინებული 6 ათასი ტონა ტევადობის ნავთობბაზის აშენება, რომელიც პრობლემას გადაწყვეტდა. აღნიშნული მშენებლობა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შარშან უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სამუშაოები აქ დაბალი ტემპით მიმდინარეობს და რაც მთავარია, თან პროექტის უხეში დარღვევით...

გალის რაიონში მწვანე მოსავლის გადამუშავებაზე რვა მძლავრი ჩაის ფაბრიკა და მეურნეობების ხუთი მიკროფაბრიკა მუშაობს. თითოეულზე ბევრადაა დამოკიდებული ქართული ჩაის ოდენობაც და ხარისხიც და რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს მათი საერთო სიმძლავრეებით რაიონში გადაწყვეტილია ნედლეულის დროულად მიღებისა და გადამუშავების ჯერ კიდევ გუშინდელი მწვანე პრობლემები. ამიტომ ფაბრიკების მუშაობაში ყველივე, თუნდაც უმნიშვნელო შეფერხება, დღეს საგანგაშოა.

— მართალია, მოზღვავებულ ნედლეულს არ დავკარგავთ, — გვითხრეს რაიონის აგროსამრეწველო კომბინატში, ყოველთვის გვაქვს შესაძლებლობა მანქანრირებისათვის, ნედლეულს გადავგზავნით იმ ფაბრიკაში, რომელიც ნაკლებად დატვირთულია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ფაბრიკა გამართულად არ მუშაობდეს. ეს საუბარი შემთხვევით როდი ჩამოვარდა.

კარგა ხანია მოსავლის აღების ცხარე დღეები დაიწყო და რაოდენ დასანანია, რომ ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია გაჭიანურდა და გამართულად, მთელი სიმძლავრით დღესაც ვერ მუშაობს. ბევრი რამ გაკეთა თავიანთი ძალებით თვით ამ საწარმოს (დირექტორი მურმან ყოლბაია) კოლექტივმა. მანქანა-დანადგარების მონტაჟისა და გამართვა-გაშვების სამუშაოები დროულად დაამთავრეს, მაგრამ ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ძირითადი სამუშაოები, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, ტრესტ „აფხაზაგრომშენის“ №2 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ნუგზარ ჯანია), დღეისთვისაც არ არის დამთავრებული. ძვირად დაუჯდა ფაბრიკის კოლექტივს საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის კომპლექტაციის რესპუბლიკური კანტორის (უფროსი თამაზ დუნდუა) მუშაკთა უყურადღებობა, რომლებმაც აგროსამრეწველო კომბინატ „გალის“ სხვა მეურნეობათა დავალიანებები მოიმიზეზეს და ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქციისთვის მეტად საჭირო მარაგ-ნაწილები თავის დროზე არ გამოგზავნეს. და ეს მაშინ, როცა თვითონ ფაბრიკას არავითარი დავალიანება არ ჰქონდა, თანაც მარაგ-ნაწილების საფასური წინასწარ ჰქონდა გადარიცხული. ამ საქმეში მომმარაგებელთა პოზიციის, გაუგებარ კაპრიზებს თუ უწოდებ. მარაგ-ნაწილების მისაღებად გალიდან თბილისში გაგზავნილი მანქანა ოთხი დღე ალოდინეს და უკან ცარიელი გამოისტუმრეს (?!)

სავალალოა, რომ ასეთი „წვრილმანების“ მიზეზით, წლევანდელი სეზონისათვის ვერ ამუშავდა ღუმურიშის ჩაის მიკროფაბრიკაც.

დღეს გალის რაიონის რიგი მეურნეობები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან და მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში დაქირავებული მკრეფავები შემოყავთ. მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ სოფლად, განსაკუთრებით რაიონული ცენტრის მიმდებარე ადგილებში, მომრავლდა სხვადასხვა ოკოპერატივები და ხალხმა ჩაის პლანტაციებს შეაქცია ზურგი. ეს მართლაც ასეა. მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, ამბრა კეთდება რაიონში იმისათვის, რომ მეჩაიეებმა ეს არც თუ ისე იოლი სამუშაო არ მიატოვონ?

გალის რაიონს აქვს საზოგადოებრივი კვების ფართო ქსელი, რომელიც ვალდებულია, მობილებით იზრუნოს მეჩაიეთა ყოველდღიური შრომის შემსუბუქებისათვის, მით უმეტეს, რომ პლანტაციებში მუშაობისას, მეჩაიეები მოწყვეტილი არიან სახლ-კარს და მათი საველე ბანაკები სოფლიდან 5-10 კილომეტრითაც არის დაშორებული.

ჩვენ დავათვალიერეთ გალის რაიონის მეურნეობების ჩაის პლანტაციები, მაგრამ ვერსად ვერ შევხვედით ვერც საველე სასადილოს, ვერც ბუფეტს, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ პაპანაქება სიცხეში მომუშავე მეჩაიეებს ვინმემ მოაწოდოს გამაგრილებელი წყალები, ნაყინი, სპორტიტრო ნაწყარმი. და, ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში, აფხაზეთის სამომმარაგლო კოოპერაციის გამგეობამ თავისი დადგენილებით სპეციალურად დაავალდებულა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები დროულად მომზადებულიყვნენ მოსავლის აღების სეზონისათვის და სათანადო მომსახურება გაეწიათ მეჩაიეებისათვის.

... დასასრულ ჩვენ იმასღა ვიტყვით, რომ საქმისადმი ასეთი ზერელე და გულგრილი დამოკიდებულებით, როცა თითქმის უგულებელყოფილია საერთო ძალისხმევა, ვერ გავაუმჯობესებთ ჩაის ხარისხს. ჩვენს სამშობლოს დღეს ათასგვარი გაჭირვება ადგას, თუ არ დავფიქრდით და ჩვენს საქმიანობაში ყოველივე არ გავითვალისწინეთ, ისე ფოთს ვერ გავალთ.

იოსებ გოგეჩია.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

პოზიცია

როგორც ვიუწყებოდით, 28 მარტს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს საზღვაო კონცეფციის პროექტი. განხილვის დროს კონცეფციის შემმუშავებელი რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის წევრმა, საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ ღოღობერიძემ აღნიშნა: დღეს ჩვენ ვქმნით სხვადასხვა კონცეფციას და მათი შექმნა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ყველა პრობლემა — ეკონომიკური იქნება ეს, სოციალური, ეკოლოგიური თუ სხვა, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ჩვენ გვაქვნება დოკუმენტები, რომელთაც აუცილებლად დასჭირდება შეჯერება, მაგრამ არა მექანიკური და არითმეტიკული, რაც არაფერს მოგვცემს. ამიტომაც აუცილებელია შეიქმნას ერთიანი ეროვნული გლობალური მოდელი (პროექტი), რომელიც მოიცავს ყველა ცალკეული კონცეფციის სინთეზს და განაპირობებს რესპუბლიკის მიზანდასახული განვითარებას, რათა უზრუნველყოს საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არა მარტო პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური სიძლიერე, არამედ ბუნებრივი სისტემების ეკოლოგიური წონასწორობა და მოსახლეობის ფიზიკური თუ სულიერი ჯანმრთელობაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა ამ იდეას, ვაქვეყნებთ ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ერთ საგაზეთო წერილში მასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი, ცხადია, დაწვრილებით ვერ გაშუქდებოდა. ამიტომაც ვთხოვთ სპეციალისტებს, დაინტერესებულ მკითხველებს მოგვაწოდონ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები ამის თაობაზე.

დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიღწევა რეალობად იქცა, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავებულია, მორალურ-ფსიქოლოგიური სიტუაცია დაძაბული, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური ვითარება — კრიზისული, მაშინ როდესაც ჩვენშიც იჩინა თავი „ეროვნულმა სინდრომმა“, რომ აღარფერი ვთქვათ სხვა ახალშეძენილ, თუ ახლადგამოშკარავებულ ფენომენზე, საერთო მიზანი — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს“ — ამეამინდელი ყველაზე მწვავე ტკივილია.

მართალია, მიზანი დასახული გვაქვს, მაგრამ მისი მიღწევისათვის მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ შევირჩევთ გასავლელ გზას და როგორ განვვლით მას, ე. ი. საჭიროა დასაბუთებული, მრავალგზის აწონ-დაწონილი და ღრმად გაანალიზებული, წინასწარ შემოშავებული სტრატეგიით შეუპოვარი და განუწყვეტელი მოქმედება.

ამჟამად ჩვენს ხალხს ვერ დასწამებ უმოქმედობას, იგი ხომ განუწყვეტლივ ეძიებს ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ სხვა სფეროში ამ სანუკვარი მიზნის განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

არადა, არსებული სიტუაციაც ხომ საკმაოდ არაორდინალურია. რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის, მოვლენები კოსმოსური სიჩქარით იცვლება, დრო წინ მიდის და ყველა სფეროში მოაქვს განახლება. რაც გუშინ ბელრისთვის ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რასაც პატივს ვცემდით, დღეისათვის უკვე უფასურდება. სწორედ ამ რწმენის შერყვევამ, თუ დროულად არ გამოვფხიზლდით და სათანადოდ არ ვიმოქმედებთ, შეიძლება ორმაგი როლი ითამაშოს საქართველოს მომავლისათვის — ან უფსკრულისკენ გვიბიძგოს, ან ძლიერ ტაძართან მიგვიყვანოს, რომლისკენაც დღეს ყველა ვისწრაფვით.

შეიძლება ჩემმა სიტყვებმა ზოგიერთი მკითხველის გულისწყრომაც გამოიწვიოს, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია: იმის ნაცვლად „რომ ტაძრისკენ მიმავალი უტყუარი გზა ყველამ ერთად ვიძებოთ, როგორც დიდი ილია იტყოდა: „...განეთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალეთნით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ...განვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის სამჭი გვიყო, რაც ეზოპეს ზოაპარში თვითეული წკიპლას მოუვიდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამც

, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის კარნახით, მთელი პასუხისმგებლობით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის წინ

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს. ცხადია, სჯა-ბაასი ეხება საქართველოს სუვერენიტეტს, მისი კომპარტიის დამოუკიდებლობას, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესიის გადაწყვეტილებებს, კულტურული ცხოვრების პრობლემებს და ყოველივე იმას, რაც სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატ აღელვებს ჩვენს მშფოთვარე და დინამიზმით აღსავსე ყოველდღიურობაში.

ვფიქრობ, საქართველოს კომპარტიის ყრილობის ორ ეტაპად ჩატარება გონივრული გადაწყვეტილებაა. პაუზა ამ ორ მონაკვეთს შორის სამუშაო ჯგუფებს. საშუალებას აძლევთ უფრო ღრმად გააანალიზონ ყველა ის საპრობლემო საკითხი, რაც მწვავედ დგას დღის წესრიგში და რომელთა რეალურად გაჯრება და გადაჭრა მოითხოვს გარკვეულ დროს. ამ შემთხვევაში აჩქარება საქმის საზიანოა.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, ჩატარდება სკკპ XXVIII ყრილობა და მისი გადაწყვეტილებების შეფასება უნდა მოხდეს ჩვენს ყრილობაზე. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს საგნობრივად ვიფიქროთ საქართველოს კომპარტიის მომავალ სტატუსზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მიღებულ დოკუმენტებს ისტორიულ მნიშვნელობას ვანიჭებ. რა დასამალია, რომ ჩვენ ახლა ვიწყებთ თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებას და ამ დროს ზედმიწევნითი სიფრთხილე გვმართებს. ყოველ სტეპზე, გადაწყვეტილებას, მოქმედებას პოლიტიკოსის გამჭრიახობა და სიდინჯე უნდა ახლდეს. ავიღოთ თუნდაც მიმართვა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი. ეს არ გახლავთ მხოლოდ ემოციებით ნაკარნახევი დოკუმენტი, იგი ღრმად გააზრებულია და სხვადასხვა არც შეიძლება, სიბინძიდან პროფესიონალიზმი, სიბრძნე და წინდახედულობა ყველა საკითხის გადაჭრის ქვაკუთხედია.

ამასთან დაკავშირებით მაწუხებს ზოგიერთის სკკპისადმი დამოკიდებულება დეპუტატთა საქმიანობის მიმართ. მავანი ამასაც არ ჯერდება და სრულ უნდობლობას უცხადებს მათ. არადა, ჩვენ ხომ ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებს, სხვადასხვა ვერც წარმომიდგენია. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ უნდა დავუკარგოთ ეროვნულ მოძრაობას მნიშვნელოვანი დამსახურება ჩვენთვის სასურველ მოვლენათა დაჩქარების საკითხში.

ის, რომ საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის, მისი ფაქტობრივი ანექსიის აღიარება მოხდა, არ არის მხოლოდ ერთი ან ორი აქციის დამსახურება, ეს მთელი ქართველი ხალხის ერთიანი ნების გამოხატულებაა. ვიმეორებ, მთავარი ის კი არ არის, ვეძიოთ, თუ ვის მივანიჭოთ ამ საქმეში პრიორიტეტი, არამედ ის, რომ ფაქტი მოხდა. ამ საკითხებს მასშტაბურად უნდა შევხედოთ, თუკი მართალია გვწადია (არადა, ეს ასეა!) საქართველოს თავისუფლება.

ჩემი ღრმა რწმენით, უდავოდ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს კომპარტიას შეუძლებლად ძალიანი ახლნდეთ სტატუსის უცვლელად შენარჩუნება და ის, რომ გადაჭრით უარყოფს ცენტრალური ორგანოების ყოველგვარ დიქტატს, იმ გადაწყვეტილებების თავმოხვევას, რომლებიც არ შეესაბამებიან რესპუბლიკის ინტერესებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის იდეას, ერის თვითგამორკვევის უფლებას. მიზანშეწონილია ისიც, რომ საქართველოს კომპარტია ყველა პროგრესულ მოძრაობასთან, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დიალოგის და თანამშრომლობის მომხრეა.

საქართველოს კომპარტია დღეს აერთიანებს ერის საუკეთესო ძალებს და ცდილობს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხთა წარმომადგენლები სამოქალაქო და ეროვნული თანხმობის საფუძველზე ერთი იდეით შეაკავშიროს.

სხვა ნაბიჯებთან ერთად, მეტად მნიშვნელოვად მესახება ქართული ენის განვითარებისა და საქართველოს ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტები. ახლა მთავარი ისაა, რომ არ დავკარგოთ ფილდეთ პროგრამებით, ცხოვრებაში განვახორციელოთ ისინი.

საქართველომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. მხოლოდ შაშინ უნდა

სიბრძნე და წინდახედულობა

ვიფიქროთ, თუ რა და როგორი კავშირები შეიძლება დავამყაროთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვმართებს რუს და სხვა ხალხთან კონფრონტაცია, ისევე როგორც არ შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ რუსულ კულტურას, ხელოვნებას. ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფოთა, კომპარტიების ურთიერთობებს, ეს სამომავლო საქმეა.

პრეზიდენტი ერთი პარტიისა, მისი დიქტატი ჰუმანურ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოვლად დაუშვებელია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დღეს მხოლოდ წარსულით ცხოვრება არას გვარგებს. დიალოგი, ურთიერთშეთანხმება, გონივრული კომპრომისები, ყველას აზრის გათვალისწინება მოგვიტანს სიკეთეს და საბოლოო გამარჯვებას. მწარე მაგალითებმა გვიჩვენეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს დაპირისპირებას და შეუთანხმებლობას. პარტიათა თანაბარუფლებიანობა, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე მესახება ერთადერთ სწორ და მართებულ გზად.

თანაც აუცილებელია ეროვნული ინტერესების პრიმატის აღიარება და მოძალებულ სუბიექტურ მოსაზრებათა უკუგდება.

თითქოს ყველა ჩვენთაგანის გულისთქმას ჩაწვდაო შოთა ნიშნიანიძე. ამას წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ახალ პოეტურ თხზულებაში იგი ამბობს: „უფრთხილდი, ერო, ნიჯს“ ჭეშმარიტს, წყენს სამაგიროს, ბრბომ ოქროს ჩაბგი ზანზალაკად თხას არ დაჰკიდოს...“ ეს პოეტის მამულიშვილური პოზიცია, მით უმეტეს დღეს, როდესაც, სამწუხაროდ, იმძლავრა განუკითხობამ, ხშირად არაკომპეტენტურობამ. ჩვენი ვალია, დავიცვათ გაუხუნარი ფასეულობანი, ერის სულიერი სიმდიდრე, მხარში ამოვუდგეთ ჭეშმარიტ ნიჭიერებას და გზა გავუკაფოთ მას.

საუბარმა ზოგადი სახე რომ არ მიიღოს, შევჩერდეთ რამდენიმე მაგალითზე, ჩვენთვის ახლა ყველაზე მწავე საკითხი თბილისს ოპერისა და ბალეტის თეატრის სამსახტვრო ხელმძღვანელისა და მომღერალთა ერთი ჯგუფის დაპირისპირება. აქ სამინისტროს პოზიცია გამოკვეთილია: მიგვაჩნია, რომ ჩვენმა აღიარებულმა დიროიჟორმა ჯანსუღ კახიძემ და შესანიშნავმა მომღერლებმა უნდა გამოძებნონ უთანხმოებათა დაძლევის გზები საერთო საქმის სასიკეთოდ, თითოეული მათგანი სკირდება საქართველოს.

ყოველივე ამის შესახებ ჯერ კიდევ ადრე გულახდილად, პირუთვნელად ითქვა საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის, თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და კომპოზიტორთა კავშირის გამგეობების გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ამ სხდომაზე ჩვენმა საამაყო მომღერალმა, ბატონმა ზურაბ ანჯაფარიძემ ბრძანა, რომ უთანხმობები სად არ ყოფილა, მომღერლებმა თავიანთი სიმართლე შემოქმედებით უნდა დამტკიცონონ.

ძალზე გულსატკენია ისიც, რომ, მაგალითად, ბატონ რ. ლაგვილავს არ სურს გაიგოს სამინისტროსა და კულტურის ჭეშმარიტ მოღვაწეთა პოზიცია და პრესაში არა სწორად მოტანილი რიგი ფაქტებით საზოგადოება შეცდომაში შეყავს. მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ქ-ნი მ. თომაძე და ბ-ნი რ. ლაგვილავა რამდენიმე თვეა ვ. ხბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის სოლისტები არიან, სადაც მათ ბევრი კარგი რამ შეუძლიათ გააკეთონ.

ვინც საქმეში ჩახედულია, უთუოდ შეამჩნევს უკანასკნელი წლების მანძილზე კულტურის უარმრავი ახალი კერის გახსნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, და როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ყიღრადობის კულტურულ ღონისძიებათა მასშტაბების გაფართოებას. ამის გამომეც და სამინისტროს თანამშრომლებსაც ძალზე ზშირად გვიწევს ადგილებზე ყოფნა და კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა.

რაც შეეხება საზღვარგარეთთან ურთიერთობას, აქაც გადაიდგა დადებითი ნაბიჯები. ვამყარებთ საჭირო კონტაქტებს საქართველოს საკეთილდღეოდ. დღევანდელ პირობებში კარჩაკეტილობა არამც და არამც ხელს არ გვაძლევს. ამას წინათ, რამდენიმე დღით იაპონიაში გახლდით. შეეხვდი კოლეგებს, საქართველოთი, ქართული ხელოვნებით დაინტერესებული ფირმების (მათ შორის „სიჩნინის“) ხელმძღვანელობას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, შევთანხმდით ბევრ რიგ საკითხებზე, კერძოდ, კულტურული კონტაქტების განმტკიცებაზე, იქ ქართული ახალგაზრდობის სასწავლებლად წარგზავნაზე, ერთობლივ გამოცემებზე, კულტურის დღეების ჩატარებაზე და ა. შ. დასამახსოვრებელი იყო შეხვედრები მომღერალთა ანსამბლ „იამასი როგუშის“ წევრებთან, რომელთაც საქართველო იცნობს, როგორც ჩვენი დიდებული სიმღერების შემსრულებლებს. მათ სამომავლოდაც მრავალი კეთილი ჩანაფიქრი აქვთ.

ერთ-ერთ კონცერტზე, როდესაც ქართულ ჩოხებში გამოწყობილმა იაპონელმა მომღერლებმა ჩვენი „მრავალჟამიერი“, „დიანბეგო“, „შავლეგო“ და სხვა სიმღერები შესრულეს, მე მათ სიამოვნებით გადავეცი საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ ახლახან დაწესებული ბრინჯაოს პრიზი — „ქართული კულტურის ქომაგს“. ეს პრიზი ამ დღეებში თბილისში გადაეცით, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთისა და ისრაელის მომღერალთა კოლექტივებსაც, რომლებიც საქართველოში გამართული ქართული ხალხური სიმღერის პირველი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი იყვნენ. ისინი საქართველოს მრავალ კუთხეს ესტუმრნენ და ადგილობრივ ფოლკლორულ კოლექტივებთან ერთად ღირსსახსოვარი საღამოები გამართეს.

უფრო ადრე, ქართული კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, ვიყავი უნგრეთში შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნაზე (ავტორები კოტე და მერან მერაბიშვილები), შევხვდი უნგრეთის კულტურის მინისტრს, ქართველოლოგებს (მაშინ ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი ცოცხალი იყო). ვმონაწილეობდი სან-დიეგოში ქართული კულტურის დღეებში, ფიროსმანისა და თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენებზე დასავლეთ ბერლინში და სხვ.

ერთი სიტყვით, მინდა აღვნიშნო, რომ დღეს აუცილებელია თანამედროვე სამყაროს გავაცნოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურა, შეეძინოთ მეგობრები, თაყვანისმცემლები, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის მებრძოლი ერის შესახებ.

როცა ახალი სიოს ქროლვაზე ვლაპარაკობთ, თვალდანვე უნდა ითქვას, რომ გარდაქმნამ მძიმე უღელი ახსნა ცრესას. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ შეიძლება წერა ყველაზე და ყველაფერზე. მაგრამ რაოდენი სიფრთხილე გვმართებს ასეთ დროს, რომ ღვაწლმოსილ, შესანიშნავ ხელოვანს დაუშსახურებელი ტკივილი არ მივაყენოთ, ცილი არ დაეწამოთ იმაში, რაც მის ხასიათს არ ესადაგება. ზოგჯერ გაზეთები კრიტიკულ „რაუნდებს“ ატარებენ, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარე მონაწილეობს: სად არის აქ დემოკრატია, სამართალი?! ვფიქრობ, მდინარე დაიწმინდება, ჭეშმარიტებას ნათელი მოეფინება და ნაჩქარევ, შეთხზულ სენსაციებს ბოლო მოეღება.

და, ბოლოს, ჩვენ, როგორც ქრისტიანები, ნუ ვუდალატებთ მის მცნებებს, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, მოვერიდოთ დაუსაბუთებელი ფაქტების ნაჩქარევ გამოტანას, ვიყოთ უფრო მომტევებელნი, გულმოწყალენი.

რაც შეეხება კერძოდ, გაზეთ „კომუნისტის“ პოზიციებს, ამ თვალსაზრისით იგი სოლიდურობას ინარჩუნებს, რაც, ვფიქრობ, მისასალმებელია. სამომავლოდ კი, ჩემის აზრით, სასურველია გაზეთი შეეცადოს უფრო მეტად მიჰყვეს მოვლენებს კვალდაკვალ და უკეთეს შემთხვევაში ერთი ნაბიჯით მაინც გაუსწროს მათ.

ამ დღეებში ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩატარდა სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის სხდომა და ამ კომიტეტის თავმჯდომარის ს. ალექსეევის პრეს-კონფერენცია ეურნალისტებისათვის განხილული საკითხების თაობაზე. რედაქციამ სთხოვა აღნიშნული სხდომისა და პრეს-კონფერენციის მონაწილეს, კონტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრს, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატს, პროფესორ გ. ივი ინწკირველს უფრო დაწვრილებით მოეთხრო მკითხველებისათვის განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

— უპირველესად, — თქვა მან, — მკითხველებს შევახსენებ, რომ კომიტეტის დანიშნულებას და ამოცანას შეადგენს ზედამხედველობა გაუწიოს, რათა არც ერთი სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები, არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. სწორედ თავისი ამ კომპეტენციის ფარგლებში იქნა განხილული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მორიგ სხდომაზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა 19-22 ივლისს.

ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილება, რომელიც ამ სხდომაზე იქნა მიღებული, ესაა კომიტეტის დასკვნა ჩვენს სახელმწიფოში ინდივიდუალური შრომითი დავების სასამართლო წესით განხილვის შეზღუდვის თაობაზე ამჟამად მოქმედი მთელი რიგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ.

ამ შემთხვევაში საკითხი ეხება კონსტიტუციის 58-ე მუხლს, რომლითაც თითოეულ მოქალაქეს მინიჭებული აქვს თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა სასამართლო წესით. ამავე დროს კი სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებს არ ეძლევათ უფლება სასამართლოს მიმართონ თავიანთი უფლებების დაცვისათვის შრომითი დავების საკითხებზე, სახელდობრ, სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით.

კომიტეტი მოქმედებს

ასეთი მოქალაქეების (რომელთა რაოდენობა თურმე დაახლოებით 23 მილიონს შეადგენს) ინდივიდუალური შრომითი დავები განიხილება მხოლოდ ზემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ე. წ. ქვემდებარეობის წესით. შექმნილი მდგომარეობა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მიერ შეფასებული იქნა როგორც ადამიანთა დისკრიმინაციის გამოვლინება და არა მარტო ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის, არამედ მთელი რიგი საერთაშორისო აქტებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ.

ამ შემთხვევაში საკითხი ეხება კონსტიტუციის 58-ე მუხლს, რომლითაც თითოეულ მოქალაქეს მინიჭებული აქვს თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა სასამართლო წესით. ამავე დროს კი სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, ზოგიერთი კატეგორიის ადამიანებს, ერთმანეთისგან განსხვავებულ მოვალეობებს ეკისრებენ. ეს ეხება, ერთ-ერთ, ასეთ პირველ ეგიებს ეკისრებენ. ეს ეხება, ერთ-ერთ, ასეთ პირველ ეგიებს ეკისრებენ. ეს ეხება, ერთ-ერთ, ასეთ

წინ, უძველესი აკადემიებისაკენ!

ყრილობის დელეგატისათვის ჯანსულ ჩარკვიანისათვის სიტყვის მიცემა ძლივს მოვასწარით, რომ უმალ გვიპასუხა: მე ნება მომეცით თამაზ წივწივაძის ამას წინათ გამოქვეყნებულ წერილს გამოვეხმაურო.

ვინა ვართ? რას წარმოვადგენთ? საიდან იწყება შენი ფენომენის დაცნობიერება? ეს, ყველასათვის ცნობილი სიდუმლოება ბუვრს ბოლომდე ამოხსნილი ჰგონია...

ჩვენს გვერდით ცოცხლობენ დიდი და ყოვლისშემძლე, ყველამდე იარაღი ჩასმული ერები, რომელთა წარსულისაკენ დაბრუნება, გამოქვაბულებისაკენ მიქცევას ნიშნავს...

ჩვენი გზა საით მიდის? მადლობა ღმერთს, რომ გამოქვაბულებამდე ჯერ მცხეთაა და ბოლნისია, მადლობა ღმერთს, რომ გამოქვაბულებამდე ჯერ იყალთოა და გელათია...

მაშ, კვლავ წინ წავდგათ ნაბიჯი გელათისაკენ, წინ, უძველესი აკადემიებისაკენ...

ქუთაისის ბებერი მხრები ბაგრატის ნანგრევებს უძღვნის, ქუთაისის ბებერ მხრებზე დგას საქართველოს წილი 3500 წლის ისტორია, ქუთაისის ძველი საძირკველი ახალი უნივერსიტეტის გუმბათსაც გაუძღვნს.

გაუმარჯოს ქუთაისში ახალი უნივერსიტეტის შენებას!

სკკპ XXVIII ყრილობის დიდი იმედი მაქვს, მიმაჩნია, რომ იგი ერთხელ კიდევ დაგვანახვებს, თუ გარდაქმნის პოლიტიკის წყალობით რა მტკიცედ დავადექით საზოგადოების დემოკრატიზაციის, სახალხო ხელისუფლების დამკვიდრების გზას. სწორედ საჯაროობამ შეუქმნა წანამძღვრები პროგრესული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციას, რომლის მიზანია ჩვენი საზოგადოების განახლება.

ჩემი აზრით, ყრილობაზე მრავალ მწავავე საკითხსა და პრობლემას განიხილავენ. როგორც ვიცით, საკავშირო და რესპუბლიკურ კონსტიტუციებში გაუქმებულია მუხლი, რომელიც კომპარტიას მმართველი პარტიის უფლებებს ანიჭებს. მმართველი პარტიის ტიტულის მოპოვებისათვის მას არ სჭირდებოდა არავითარი გარჯა, ეს უზრუნველყოფილი იყო კონსტიტუციით. ასეთი დაუმსახურებელი პრივილეგია აკნინებდა პარტიის პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისათვის. მრავალპარტიულობის ვითარებაში

სწრაფვა იდეალისადმი

რლამენტო კომისიის დაარსების გადაწყვეტილებაც ამ მხრივ ფრიად კონკრეტული ნაბიჯია.

ასევე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და არჩევნების დანიშვნის კანონის კონცეფციის პროექტის თაობაზე. კანონმა ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული პარლამენტის არჩევის იურიდიული საფუძვლები უნდა შექმნას, ამიტომ გასაკვირი არაა ის დიდი ინტერესი, რომელსაც ამ კანონის შემუშავებისადმი იჩენს საზოგადოებრიობა. დღეს გამოთქვამენ სხვადასხვა აზრს იმის გამო, თუ როგორ ჩატარდეს არჩევნები. ვფიქრობ, საჭიროა არჩევნების პროცედურა პირველ რიგში გულისხმობდეს ხალხის ნება-სურვილის მაქსიმალურ გათვალისწინებას. სახალხო დეპუტატი ხალხმა უნდა აირჩიოს. იქნებ დასაშვებიც იყოს რაღაცნაირად შერეული პრინციპის გამოყენება, ვთქვათ, სტალინგრადი პარტიის ან გაერთიანების მიერ კანდიდატურათა წამოყენების საშუალებით, მაგრამ მთლიანად ამ უკანასკნელით ხელმძღვანელობა, დეპუტატთა კანდიდატების შერჩევა მხოლოდ მათი პარტიული კუთვნილების მიხედვით, ალბათ, სწორი არ იქნება.

სესიის მნიშვნელობაზე რომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ კანონშროეკტებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავებაში მეცნიერების, სპეციალისტთა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა აზრი და გამოცდილება.

— როგორ წარმოგიდგენთ საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა?

— სავსებით ცალსახად, ისევე, როგორც ყველა საკითხში იგულისხმება დამოუკიდებლობა. უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს საკუთარი პროგრამისა და ფესვების საფუძველზე, სავსებით დამოუკიდებლად, ცენტრის მიუთითებლად პოლიტიკის წარმართვას, პრინციპული კურსის შემუშავებას, ადგილობრივი კონკრეტული ვითარებებიდან გამომდინარე თუ პერსპექტივისათვის გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებას და ხორცშესხმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა ნიშნავს თავად გაიაზროს და ჩამოაყალიბოს იდეალი მომავალი საქართველოსი და თავადაც აირჩიოს ამ იდეალისაკენ სავალი გზები.

დღესდღეობით ამის მწავავე აუცილებლობა იგრძნობა მთელს კავშირში. ყოველ შემთხვევაში ერთობ ძრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ სხვა არაერთი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიამ, არა მარტო ბალტიისპირთვითმყოფადი კულტურა, განსხვავებული ტერიტორია და რელიგია, განსხვავებული კლიმატური და ბუნებრივი პირობები და მრავალი სხვა, რაც თავისთავად გააპირობებდა რესპუბლიკების წინაშე მდგომი პრობლემებისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას და ფაქტია, ეს ყველაფერი უმეტეს შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო. თანაც, სახელმძღვანელო იარაღად მომარჯვებული იყო მიზანთა ერთიანობა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლიდანაც დემოკრატია სულ უფრო და უფრო ანნდებოდა, ხელში ი მხოლოდ ცენტრალიზმიღა შეგვრჩა. მართვის ამგვარმა სტილმა კი რაც მოგვიტანა, ყველანი კარგად ვხედავთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა დროის მოთხოვნაა. დედაქალაქის კომუნისტთა აბსოლუტური უმრავლესობაც ასე ფიქრობს. ამასვე მოწმობს ამასწინანდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის იდეას უჭერს მხარს. მათ მიაჩნია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა მიმქმედებდეს მხოლოდ და მხოლოდ

ვიზრუნოთ ავტორიტეტზე

ვილი დემოკრატიული გზით განვითარებას, რათა თავიდან ავიცილოთ კონსერვატორული ძალების გამაჯავრება, რომელმაც შეიძლება ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს. გარდაქმნის წარმატებისათვის უპირველესად საჭიროა საზოგადოების მთელი რეალისტური ძალის შეკავშირება. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს პრესამ, ამჟამად მეუშაკებს გაცილებით ლაღად შეუძლიათ წერონ სიმართლე და მკვეთრად გამოხატონ თავიანთი

კომიტეტი მოქმედებს

ძლევანელობ, საკავშირო დაქვემდებარებისაა. მისი დაარსების პირველი დღეებიდან აქ ლოკომოტივების სიჩქარის გამზომებისა და მიკრომავთულის ჩამოსხმა და სხვა დეტალების დამზადება დაიწყეს. 80-იანი წლებიდან ქარხნის ასორტიმენტი თანდათან გაიზარდა, მას მიეტა ელექტრონული ხელსაწყოები — ტაქომეტრები, იონომეტრები და სხვა. ქარხანა თავის პროდუქციას კავშირის მასშტაბით გზავნის, საწარმოში სტაბილური ფინანსური მდგომ-

ეროვნული ინტერესებიდან

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატს **ნიკოლოზ ლეკიშვილს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— როგორია, ბატონო ნიკოლოზ, თქვენი მოსაზრება საქართველოს კომპარტიის ყრილობის ორ ეტაპად ჩატარებაზე?

— ჯერ ალბათ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ თვით ყრილობის მოწვევის დაჩქარება მოხდა დროის კარნახით. კომუნისტებმა, პარტიზანებმა საკუთარ ბედზე მიიჩნიეს, რომ პარტიაში ზოგიერთ უამრავი გადაუდებელი პრობლემა, რის გამოც საჭიროებენ თუ საინსტრუქციო დებულებებით განსაზღვრული ვადის ლოდინი მხოლოდ ფორმალური და, რაც მთავარია, საქმითვის საზიანო იქნებოდა. ამიტომ, ფაქტობრივად, დაამაყოფილდა საერთო მოთხოვნა ყრილობის გადაუდებლად ჩატარების შესახებ.

რა თქმა უნდა, ამან იმოქმედა ყრილობის გადაწყვეტილებათა ხელდებაზე. ჯერ ერთი, გართულდა შეკუმშულ ვადებში საჭირო დოკუმენტების შემუშავება-გადაწყვეტა და, რაც მთავარია ამათი სახალხო განხილვა. ალბათ, ეს მომენტში სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღება პარტიის წევრთა, ტრუდული ორგანიზაციების, ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად, აპრობაციის გარეშე დაუშვებელია. ამჟამად სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. კომუნისტები ეცნობიან საქართველოს კომპარტიის საპროგრამო დებულებებს, გამოთქვამენ კონსტრუქციულ წინადადებებს. ასე რომ, ზოგიერთგვარი საყრილობო მუშაობა ისევ მიმდინარეობს და ვფიქრობთ, მომდევნო ეტაპზე შეეძლებთ დელეგატების სამსჯავროდ ამოვიტანოთ უკვე ათას საცენზეზი გამოცრილი საერთო აზრი. ალბათ უფრო, რომ საკითხი შეეხებოდეს კომპარტიის სტატუსს, პარტიის პროგრამას, მისი მოღვაწეობის ძირითად და პრაქტიკულ საკითხებს, ორგანიზაციულ ფორმებს, ინსტრუქციებს და საწესდებო დებულებებს. ერთი სიტყვით, პარტიის რაობას, მის მომავალს, ამის როლს და ადგილს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი ყრილობის ორ ეტაპად ჩატარებას ის აზრიც აქვს, რომ

ბით ერთობ სერიოზული საქმე გაკეთდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი სურვილი და მიზანია. ისიც ხომ ცხადია, რომ თუ დღევანდელი საერთო რეალური სიტუაციით ვიხელმძღვანელებთ, ამ მიზნის მისაღწევად ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია გადასაწყვეტი. ამას უდიდესი, საერთო ინტელექტუალური ძალისხმევა სჭირდება და ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მექანიზმის შემუშავებისა და განხორციელების პროგრამის შემქმნელი საპარლამენტო კომისიის დაარსების გადაწყვეტილებაც ამ მხრივ ფრიად კონკრეტული ნაბიჯია.

ასევე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და არჩევნების დანიშვნის კანონის კონცეფციის პროექტის თაობაზე. კანონმა ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული პარლამენტის არჩევის იურიდიული საფუძვლები უნდა შექმნას, ამიტომ გასაკვირი არაა ის დიდი ინტერესი, რომელსაც ამ კანონის შემუშავებისადმი იჩენს საზოგადოებრიობა. დღეს გამოთქვამენ სხვადასხვა აზრს იმის გამო, თუ როგორ ჩატარდეს არჩევნები. ვფიქრობ, საჭიროა არჩევნების პროცედურა პირველ რიგში გულისხმობდეს ხალხის ნება-სურვილის მაქსიმალურ გათვალისწინებას. სახალხო დეპუტატი ხალხმა უნდა აირჩიოს. იქნებ დასაშვებიც იყოს რაღაცნაირად შერეული პრინციპის გამოყენება, ვთქვათ, სტალინგრადი პარტიის ან გაერთიანების მიერ კანდიდატურათა წამოყენების საშუალებით, მაგრამ მთლიანად ამ უკანასკნელით ხელმძღვანელობა, დეპუტატთა კანდიდატების შერჩევა მხოლოდ მათი პარტიული კუთვნილების მიხედვით, ალბათ, სწორი არ იქნება.

სესიის მნიშვნელობაზე რომ

სიმართლე

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანს. ცხადია, სჯა-ბაასი ეხება საქართველოს სუვერენიტეტს, მისი კომპარტიის დამოუკიდებლობას, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესიის გადაწყვეტილებებს, კულტურული ცხოვრების პრობლემებს და ყოველივე იმას, რაც სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატ აღელვებს ჩვენს მშფოთვარე და დინამიზმით აღსავსე ყოველდღიურობაში.

ამ ფაქტებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის იდეას, ერის თვითგამორკვევის უფლებას. მასასალმებელია ისიც, რომ საქართველოს კომპარტია ყველა პროგრესულ მოძრაობასთან, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დიალოგის და თანამშრომლობის მომხრეა.

ეროვნული ინტერესებიდან

ჩვენ ეროვნული ინტერესებიდან ამ ფაქტებს ისტორიულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეს ფაქტები ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებიდან,

ᲣᲙᲘᲡᲝᲤᲘᲗᲨᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲒᲐ
28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

„ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ“...

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ ბოლო ხანს დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა საზოგადოებასა და კომუნისტურ პარტიაში შექმნილ მდგომარეობას სკკპ XXVIII კრილობის წინ. გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას იმ მასალებისა, რომლებიც რსფსრ პარტკონფერენციის წინა პერიოდში დაიბეჭდა.

ტანიუგის სააგენტო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში აქტიურად ემზადებიან XXVIII კრილობისათვის, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოთა საზოგადოებაში შექმნილი სიტუაცია და დისკუსიის შემდეგ მიიღოს საპროგრამო ხასიათის დოკუმენტი „ᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ“. ამ დოკუმენტის ირგვლივ გამართულმა დავამ გამოავლინა მისი შინაარსისადმი მიდგომებისა და პოზიციების კრული კონგლომერატი: რადიკალური დემოკრატიული გადატრიალების მოთხოვნებით დაწყებული, რაც სიმბოლურად პარტიის სახელის შეცვლით და სიტყვა „კომუნისტურის“ ამოღებით დასრულდებოდა, და მისი ორთოდოქსული სიწმინდის დადასტურებით დამთავრებული, რის შედეგადაც პარტია სტალინისტურ ნავს აუყვდელს დაუბრუნდებოდა.

საინფორმაციო სააგენტოს მიაჩნია, რომ დისკუსიამ ყრილობის ძირითადი დოკუმენტის გამო არსებითად ასახა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სცენაზე შექმნილი წინააღმდეგობრივი სიტუაცია, როდესაც თვით პარტიის ფარგლებში ჩნდება თავისებური ფრაქციები, რომლებიც ჯერ არ არის ოფიციალურად აღიარებული. ეს ფრაქციები იდეოლოგიური შეხედულებების უკიდურესად საწინააღმდეგო პოლუსებზე განლაგდა: რადიკალურ-დემოკრატიულიდან კონსერვატიულამდე, რომლებიც თუნდაც სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობენ.

მოსალოდნელია, განაგრძობს სააგენტო, რომ ყრილობის დელეგატები, რომლებიც 18,5 მილიონ სკკპ წევრს წარმოადგენენ, სკკპ ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში საკადრო ცვლილებების მოთხოვნებით გამოვლენ. დელეგატების სტრუქტურას და ორიენტაციას, ხაზს უსვამს ტანიუგი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას აირჩევს ყრილობა. თუ უმრავლესობა კონსერვატორებს მიემხრო, მაშინ მოსალოდნელი იქნება მწვავე კონფლიქტები რადიკალურ ძიმდინარეობასთან, რომელიც წარმოდგენილია „სკკპ დემოკრატიული პლატფორმით“. ამ დაჯგუფებას განზრახული აქვს თავისი რადიკალური პოზიცია წარმოადგინოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირფესვიან ტრანსფორმაციაზე, თორემ, იმუქრებიან, პარტიიდან გავალთო.

იუგოსლავი მიმომხილველები განმარტავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შექმნილ სიტუაციას და „განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ი. კ. ლიგაჩოვის გამოსვლაზე საბჭოთა კავშირის კლუბთა კავშირის ყრილობაზე. მაგალითად, მის სიტყვას გაზეთი „პოლიტიკა“ ახასიათებს, როგორც „რუსეთის პარტკონფერენციის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობის გეზის წინააღმდეგ ამოქმედებული ბრძოლის გამოცხადების“ ფაქტს.

კონფერენცია, რომელიც უდავოდ რუსეთის კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობად გადაიქცევა (იუგოსლავიის პრესის აქ მოყვანილი სტატიები დაბეჭდილია ამ ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე), წერს ამ გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი რ. ბაიალსკი, შეიძლება სკკპ XXVIII ყრილობის წინ ძალების მოსინჯვის გენერალური რეპეტიცია გახდეს. სრულიად უეჭველია, ამბობს იგი, რომ კონსერვატორები ეცდებიან ხელში ჩაიგდონ რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა და, თუ გაიმარჯვებენ, „საკავშირო“ ფორუმზე განაგრძობენ ბრძოლას პარტიაში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შესაჩერებლად.

შეიძლება ითქვას, წერს „პოლიტიკა“, რომ ლიგაჩოვმა, რომელიც დროის დეფიციტს განიცდის, პოლიტიკური კრტები განსნა და თავისი ზრახვები ამისთვის სრულიად შეუფერებელ ადგილას — გლეხთა კავშირის ყრილობის ტრიბუნიდან გამოაცხადა. ამ ფორუმზე გამოვიდა ელცინიც, რომლის სიტყვასაც ტაშით შეხვდნენ. მაგრამ ლიგაჩოვი უფრო აქტიური იყო, მის გამოსვლას თან სდევდა ოვაციები და, ამრიგად, დამაჯერებლად მოუგო ხანმოკლე დუელი ელცინს.

„პოლიტიკის“ კორესპონდენტი დასძენს: „რუსეთის პარტკონფერენციის გახსნის წინ კონსერვატორთა შეტევა ინტენსიურად ძლიერდება და მისი განვითარების ყველაზე აშკარა ინდიკატორად რჩებიან რუსეთის კომპარტიის ლენინგრადის „საინიციატივო ყრილობის მონაწილენი“.

თავის სტატიაში უფრო მკაცრ ფორმულირებებს იყენებს გაზეთ „ბორბას“ მოსკოველი კორესპონდენტი ჯ. ბილბია. მის ანალიტიკურ მასალაში, კერძოდ, ნათქვამია: „სავსებით მართალნი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც წინასწარეტყველებდა, შუა ივნისიდან პარტიის XXVII ყრილობის მუშაობის დაწყებამდე პერიოდი „პოლიტიკური პოზიციების გარკვევის“ პერიოდი იქნებაო, და ეს დრო პრაქტიკულად დაიწყო კიდეც. თანაც გარკვევა მოსალოდნელი „სკენარით“ დაიწყო: კვლავ გამოჩნდა „ვანსცენაზე საბჭოური ნეოსტალინიზმის ქორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლიგაჩოვი, რომელმაც გორბაჩოვსა და „ქვეყნის ხელმძღვანელობას“ დააბრალა, მათს პოლიტიკას შეიძლება საბჭოთა ფედერაციის სრული დაშლა მოჰყვესო. ლიგაჩოვმა არსებითად სადავო გახადა გორბაჩოვის წინადადების არსი იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივი ან სრული კონფედერაციის შექმნის გზით შეინარჩუნონ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ფარგლებში. „გარდაქმნის სუსლოვმა“ განაცხადა, გორბაჩოვი თმობს და თმობს, გაუთავებელი დათმობისა და კომპრომისების ორიენტაცია კი იმის საშიშროებას შეიცავს, რომ შეიქმნება ყველაფერი დავკარგოთო. მისი აზრით, საშიშროება შეექმნა არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სისტემას, არამედ სახელმწიფოსაც, მის ტერიტორიულ მთლიანობას...

მოსალოდნელია, რომ მომავალ ფორუმებზე ლიგაჩოვი გამოიყენებს უკანასკნელ კოზირს, რადგან, იმ ბანაკის შეფასებით, რომლის არაფორმალურ ლიდერადაც იგი ითვლება, გადამწყვეტი ბრძოლა შეუძლია მოიგოს მხოლოდ მაშინ, თუ წინაღუდგება გორბაჩოვის კონცეფციას სუვერენულ სახელმწიფოთა კონფედერაციულ კავშირად საბჭოთა კავშირის გადაქცევის შესახებ...

როგორც ჩანს, საბჭოური „პოლიტიკური პოზიციების გარკვევა“ დაიწყო, განაგრძობს „ბორბა“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ერთგული მოსკოველი კომუნისტების საქალაქო კონფერენციაზე გაისმა, განეთქილება გარდაუვალია. პოდა, მნიშვნელობა აღარა აქვს, როდის გადაწყვეტს „დემოკრატიული პლატფორმა“ პარტიიდან კოლექტიურ გამოსვლას. საქმე ის არის, რომ მოსკოვში უპირატესი ხდგომარეობა შეექმნა მიმდინარეობას, რომელიც საპარლამენტო პარტიად კომუნისტური პარტიის გადაქცევის, პარტიაში ფრაქციების შექმნის, დემოკრატიული ცენტრალიზმისა და საწარმოებში პარტორგანიზაციების გაუქმების წინააღმდეგია.

ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲕᲜᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ:

„ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ“ (1500 მანეთი), „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (1000 მანეთი), „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲒᲐᲓᲐᲪᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (800 მანეთი), „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (1000 მანეთი), „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲜ ᲡᲐᲝᲚᲥᲛᲝ ᲒᲐᲖᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (1000 მანეთი) და „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (1000 მანეთი).

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).



ᲓᲘᲐ ᲩᲘᲐᲜᲔᲚᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დამოუკიდებლობის აქტს, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს აღადგინა ქართველი ერის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, როგორც ვიცით, ხელს აწერენ იმ დროისათვის გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერები: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, გ. ურატაძე და სხვები, ხოლო ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან — ექვთიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქოძე, დავით ჩხეიძე... დღეს გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ დავით ჩხეიძეზე, სწორედ იმ დავით ჩხეიძეზე, რომელიც მწერლობაში ცნობილია დია ჩიანელის ფსევდონიმით.

მისი პირველი წიგნი „შემოდგომის ცრემლები“ სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წელს — 1918 წელს დაისტამბა.

ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა დავით ჩხეიძე აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ქართველი ინტელიგენცია თავის გულისწუხილის გამოხატვის საშუალებას ძირითადად პროფესიულ სფეროში ხედავდა.

ქუთაისში 1921-1924 წლებში არსებობდა მწერალთა დიდი ორგანიზაცია, რომლის წევრები იყვნენ: ს. ხუნდაძე, ი. ჭყონია, ნ. ლორთქიფანიძე, ს. ცირეკიძე, ვ. გორგაძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვები. ეს ორგანიზაცია სცემდა ჟურნალ „უკიმერიონს“, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო დავით ჩხეიძე.

დია ჩიანელის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „გიონ დარანა“. ეს რომანი დაიწერა 1925 წელს. ამ რომანის მთავარი თემაა სიკეთისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომანში ასახულია იმდროინდელი ქართველის მძიმე ეროვნული და სოციალური მდგომარეობა.

აღსანიშნავია დავით ჩხეიძის როლი ქართულ დრამატურგიაში. 1926 წელს მან დაწერა პიესა „ბედქილი“, რომელიც ემყარებოდა სვანურ ხალხურ ლეგენდას.

„ბედქილი“ მან შემდეგ სცენარად გადააკეთა, რომელმაც „სახკინმრეწვის“ მიერ გამოცხადებული სცენარების კონკურსში გაიმარჯვა და მეორე ჯილდო (პირველი არავის მიუღია) დაიმსახურა. ამის შემდეგ დ. ჩხეიძე წერს პიესას „ბაილს“, რომელიც ასევე სვანურ თემას ეხება.

„ბაილი“ 1929 წელს დადგა კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის თეატრის სცენაზე. სპექტაკლში წარმატებით გამოდიოდნენ ქართული სცენის ოსტატები (ი. ზარდალიშვილი და სხვები).

1931 წელს დ. ჩხეიძემ დაწერა პიესა „ნაირმალი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა ქუთაისში.

დავით ჩხეიძე იყო არა მარტო მწერალი შემოქმედი, არამედ გამოირჩეოდა პედაგოგიური ნიჭითა და უნარით.

როგორც მისი ერთი ნამოწაური გადმოგვცემს, დავით ჩხეიძე იშვიათი პედაგოგი, მუდამ მშფოთვარე კაცი, მუდამ ახლის მაძიებელი, უაღრესად კეთილშობილი, პუმანური ყოფილა. იგი აღვიძებდა მოსწავლის გულში ენთუზიაზმს, საოცარი მჭევრმეტყველებით უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს.

სკოლაში დაწყებულ პედაგოგიურ საქმიანობას დია ჩიანელი განაგრძობდა სკოლის კედლებს მიღმაც. იგი აძლევდა ხოლმე მოსწავლეებს საინტერესო წიგნებს და მსჯელობდა მათთან წაკითხულის გარშემო, მასწავლებელიც იყო და მეგობარიც, აღმზრდელიც და ამხანაგიც (ა. ჩხენკელის მოგონება, დ. შ.).

ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი დავით მელიტონის ძე ჩხეიძე დაიბადა 1890 წელს აპრილში სოფ. დიმში (მაიაკოვსკის რაიონი). დავითის მშობლებმა კარგად იცოდნენ სწავლის ყადრი და ათი შვილიდან ყველა სკოლაში სწავლობდა.

8 წლის დავითიც ქუთაისში ჩაიყვანეს შორეულ ნათესავთან და გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მიაბარეს.

სასწავლებელში პატარა დავითი მუყაითობით გამოირჩეოდა. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მწერლობაზე; გიმნაზიაში ყოფნის დროს მონაფეებს ჰქონდათ ხელნაწერი ჟურნალები: „წინ“, „ნაბიჯი“, „რიონი“, რომლებშიც დავითი აქტიურად მონაწილეობდა. უფრო მაღალ კლასებში კი დაარსებული იყო ლიტერატურული წრე, მასში შედიოდნენ. კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, ვუკოლ ბერიძე და სხვები; ამ წრეში მონაფეები კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს და მსჯელობდნენ კიდეც მათს გარშემო.

გიმნაზია დავით ჩხეიძემ დამთავრა 1911 წელს და იმავე წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა ქ. ბაქოში.

პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დავით ჩხეიძე ჩაება ჯერ კიდევ 1908 წლიდან, მოწაფეობისას. 1914 წელს დავითი დააპატიმრეს არალეგალური მუშაობისათვის და გადაასახლეს საქართველოდან. სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ 1917 წელს. მისი ნოველები და მოთხრობები იბეჭდებოდა თითქმის ყველა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთში. კრიტიკა გულთბილად შეხვდა მას, რამაც უფრო გაათამამა ახალგაზრდა მწერალი.

დავით ჩხეიძის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ესკიზი და ნოველა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს „მეველე“, „ქვასროლია“, „ნათელა“, „ბინადარი“ და სხვა.

დია ჩიანელი უდავოდ იმ უსამართლობის ავადმოსაგონარი 1937 წლის მკაცრი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც მრავალი ნიჭიერი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დაიღუპა მაშინ და მათი დაღუპვის შემდეგ რეაბილიტაციის უწყებები მიიღეს დამწუხრებულმა ოჯახებმა, მათ შორის დია ჩიანელის ოჯახმაც, რის შემდეგ აღადგინეს მწერლად მწერალთა კავშირში.

აგერ 53 წლის წინანდელ დროით გაყვითლებულ პაპიროსის პატარა ფურცელზე საპატიმროდან საიდუმლოდ გამოგზავნილ მამის წერილს მოწინწებით ეხება და მიკითხავს კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე: „ტანჯვას ოდნავ ის მიმსუბუქებს, რომ აქ, ციხეშია ყველა ის ადამიანი, ვისაც პატიოსანი ქართველი ერქვა“.

ტანჯვა და რეპრესიები თითქოს მუდმივ ხვედრად ერგო დავით ჩხეიძისა და მისი მეუღლის, ქალბატონ ფაციას ოჯახს.

დიდი ხანი არ არის, რაც ავადსახსენებელ უძრაობის პერიოდში, ორი ნელიწოდი მოუხდა საპატიმროებში ყოფნა დ. ჩხეიძის შვილიშვილს თამარს. რისთვის? მიზეზი ერთია — ისევ ერისათვის თავდადებას!.. რაც შეეხება დია ჩიანელის მეუღლეს ქალბატონ ფაციას, — მან უკიდურესი გაჭირვება განიცადა ქმრის უსამართლო რეპრესიის გამო. დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილი (რეზო, ციალა და ვიოლა), რომლებიც მისი შესანახი გახდნენ. ქმრის დაპატიმრებისთანავე ქუთაისში ბინიდან გამოასახლეს. იძულებული შეიქნა თბილისში წამოსულიყო შვილებითურთ და დაეწყო სამსახურის ძებნა, მაგრამ ყველგან უარს ეუბნებოდნენ, როგოც „ხალხის მტრის“ მეუღლეს.

ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი. ეს იყო გოგლა ლეონიძე, რომელმაც შეიფარა თავისთან სამსახურში და ლიტერატურულ მუზეუმში მიიღო თანამშრომლად. გ. ლეონიძე მატერიალურადაც ეხმარებოდა.

დია ჩიანელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ჩვენი ქართული მწერლობის ისტორიაში, როგორც შესანიშნავ ნოველისტს, რომანისტსა და საზოგადო მოღვაწეს.

დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გამოიცეს ამ შესანიშნავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თხზულებათა სრული კრებული, რომელთა ავტოგრაფების და წერილების უმეტესობა დაცულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

დავით ჩხეიძის თხზულებათა წიგნი „დია ჩიანელი — გიონ დარანა“ გამოვიდა მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ (1970 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“). წიგნის შესავალში მამია ასათიანი გულისტკივილით აღნიშნავს: „შესანიშნავი მწერლის, ადამიანის, მოქალაქის, ბრწყინვალე პედაგოგისა და უანგარო მოღვაწის (დია ჩიანელის) ცხოვრება არც ისე ხანგრძლივი იყო. იგი ორმოცდახუთი წლის წავიდა ჩვენგან. და რამდენი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი ამ შესანიშნავ მწერალს, პედაგოგს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს“.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: დია ჩიანელი; დია ჩიანელი და მისი მეუღლე ფაცია გოგოძე შვილთან რეზო ჩხეიძესთან ერთად; დია ჩიანელი მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, ზის მარცხნიდან მეორე (იოსებ გრიშაშვილსა და გიორგი ლეონიძეს შორის).

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲒᲣᲚᲖᲔ...

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „საქართველომ“ გამოსცა მონოგრაფია „გულმკერდის არეში ტკივილი და მისი დიფერენციული ეკითხვა“, რომლის ავტორია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მზია კანდელაკი.

ნაშრომის დიდი ღირსება ის არის, რომ ქართულ ენაზე, თითქოროლა გამონაკლისს გარდა, არ აღინიშნება დიფერენციული დიაგნოსტიკის ორიგინალური მონოგრაფია.

წიგნის წარმატება, ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ავტორს კლინიკური და მეცნიერული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. საკვლევი მასალის კარგი ცოდნით იგი შეეხო თანამედროვე მედიცინის მეტად საპრობლემო საკითხს, კერძოდ, სამამულო და უცხოური ლიტერატურის უახლესი მონაცემების საფუძველზე, კვლევის თანამედროვე საშუალებთა გათვალისწინებით განიხილა გულის არეში ტკივილის სინდრომის დიფერენციული დიაგნოსტიკა სრულიად განსხვავებული სხვადასხვა დაავადებების დროს, რომელთაც აქვთ ერთი საერთო ნიშანი— ტკივილი გულის არეში. ეს უკანასკნელი კი ექმის მის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მეტად რთულ მოთხოვნებს უყენებს. მონოგრაფიაში მოტანილი მასალა ექიმს საშუალებას აძლევს უფრო ღრმად ჩაწვდეს დიფერენციული დიაგნოსტიკის თავისებურებებს, გაიფაროოოს კლინიკური აზროვნების თვალსაწიერი, რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო და სოციალური ხასიათის ღონისძიებების სწორ გამოყენებას.

წიგნი დაწერილია დახვეწილად, კარგი ქართულით, სადაც და გასაგებად, ჩინებულად არის გამოცემული, ოღონდ დასანანია, რომ სამიათასიანმა ტირაჟმა ვერ დააკმაყოფილა წიგნის შეძენის ყველა მსურველი.

ᲒᲘᲕᲘ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ თუ არა შავ ზღვაში ბანაობა?

ბოლო წლებში საკურორტო სეზონის დაწყების წინ ჟურნალისტები ტრადიციულად ეკითხებიან ამას რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს **ირაკლი ფალავას.** ყოველ ჯერზე მისი პასუხი სულ უფრო პესიმისტურად ეღერს.

— სამწუხაროდ, ოპტიმიზმის საფუძველი არა გვაქვს, — თქვა მან საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში. — წელს ზღვა ისევ ძლიერ არის გაჭუჭყიანებული, როგორც შარშან. საფშენდი ნაგებობანი სანაპიროზე არ გვყოფნის. არსებულთა უმრავლესობა მცირე სიმძლავრისა ან უწესივროა. სანიტარიული სამსახური განუწყვეტლივ ტეხს განგაშს, აჯარიმებს საწარმოთა დაუდევარ ხელმძღვანელებს, მოითხოვს ბიოლოგიური ფილტრების, ახალი საფშენი ნაგებობების დადგმას. ყველანი ადასტურებენ მოთხოვნათა სამართლიანობას, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, საქმით კი არაფერი არ იცვლება.

ამას წინათ აჯარის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის გადაწყვეტილებით მრავალი პლაჟი დაიხურა ბათუმში, ქობულეთში, მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში. აკრძალულია ბავშვების ბანაობა ფოთის ერთ-ერთ პლაჟზე. ამ დღეებში გაგრის საფშენდ ნაგებობაში ავარიის გამო სანიტარიულმა სამსახურმა დროებით დახურა ამ კურორტის ორი პლაჟი. ზაფხულის განმავლობაში ანალოგიური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ნებისმიერ კურორტზე.

ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ ზღვის წყლის გაჭუჭყიანების ზღვრულად დასაშვები ნორმები კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ბაქტეროლოგიური კონტროლი კი, რაც განუწყვეტლივ წარმოებს, გვიჩვენებს, რომ დასაშვებ ნორმებს ზოგჯერ რამდენიმე ათეულჯერ აჭარბებენ.

— ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ თუ არა ეს, რომ ᲐᲛ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲑᲐᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲗ?

— არა, მთლად ასე არ არის. ჩვენ გვაქვს ისეთი სუფთა „ოაზისები“, როგორიცაა ბიჭვინთა, აგუძერა, ლესელიძე, ურეკი, გაგრა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სიტუაცია სოხუმსა და ფოთში. იბანაეთ, გაიკაეთ ჯანმრთელობა, მაგრამ სიფრთხილეც საჭიროა. კერძოდ, გირჩევთ, უწინარესად ბავშვებს, ნე ჩაყვინთავთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადაყლაპოთ ზღვის წყალი, ბანაობის შემდეგ აუცილებლად მიიღეთ შხაპი.

— რადიაციის საქმე როგორ-ღაა?

— ჩვენ ამასაც დღენიადაგ ვადევნებთ თვალს, საგანგაშო არაფერია, რადგან რადიაციის დონე სანაპიროზე ბუნებრივი ფონის ფარგლებშია. მაგრამ მზის აბაზანების მოყვარულთ ზშირად ავიწყდებათ მზის რადიაციული აქტიურობა. მინდა შეგახსენოთ, რომ მზეზე დიდხანს ყოფნა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა და სერიოზული სნეულებანი.

— ამ ცოტა ხნის წინათ პრესაში დაიბეჭდა ცნობა, რომ ყოფილი რუმინელი დიქტატორის ჩაუშესკუს ბრძანებით შავ ზღვაში ჩაძირეს შხამიანი ნარჩენებით სავსე კასრები, რომლებიც ღელვის დროს თურქეთის ნაპირზე გაირიყა. მართალია თუ არა ეს და ხომ არ შეიძლება, ბათუმის ნაპირებთანაც გამოჩნდეს?

— მე მგონია ეს ჭორი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, აჯარის სანაპიროზე ასეთი არაფერი მომხდარა. ზღვის წყლის მუდმივი კონტროლი გვიჩვენებს, რომ მისი რადიოაქტიურობის დონე ნორმას არ აღემატება. მაგრამ ამ კასრებზე გაცილებით საშიშია ის, რომ მატულობს ზღვაში ფეკალური მასებისა და ორგანული ნივთიერებებით გაჯერებული ჩამდინარი წყლების ჩაშვება. ამ ნარჩენების ლობის შედეგად მიღებული ზღვის ორგანიზმების სიცოცხლისათვის საშიში მავნე ფოსფატები, ნიტრატები და გოგირდწყალბადოვანი შენაერთები განუწყვეტლივ მზარდი რაოდენობით აჯერებენ ზღვის წყლის ზემო ფენებს, სულ უფრო მაღლა სწევენ ეგრეთ წოდებული „მკვდარი ზონის“ ჭერს, რომლებმაც დღეისათვის ზღვის ზედაპირიდან 150-200 მეტრს მიაღწია. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ, თუნდაც შავი ზღვის სიღრმე ორი ათას მეტრს აღემატება, მხოლოდ მისი ზედა ზონაა გამოსადეგი ზღვის მკვდრთათვის, რომლებიც ანგბადით ცოცხლობენ. დანარჩენი ცხრა მეათედი ზღვის წყალი პრაქტიკულად გამოუსადეგარია სიცოცხლისათვის.

შავ ზღვას დაუფარეზენ სპირდება შველა. თანაც, მისი გაჯანსაღების საკითხი ერთი ქვეყნის ძალებით ვერ გადაწყდება. თუ შავი ზღვის სანაპიროს ყველა სახელმწიფომ არ გაიერთიანა ამ მიზნით ძალისხმევა, თუ არ გაგიერთიანა ამ საჭირო სახსრები ინდუსტრიულ წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიათა შემუშავებისა და დანერგვისათვის და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის, იგი შეიძლება უკვე მკვდარი გახდეს მომდევნო საუკუნის დამდეგს. ყველამ უნდა გაიგოს: საქმე ეხება არა მარტო ზღვის წყლის ხარისხს, არამედ ეკოლოგიურ კატასტროფას კაცობრიობისათვის გაუთვალისწინებელი შედეგებით.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ -ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲝᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘ ᲒᲝᲚᲓᲛᲐᲜᲘ,
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠ.

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲜᲗᲮᲝᲕᲡ

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲭᲘᲥᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ

ᲕᲔᲠᲝᲜᲐᲨᲘ აუტანელი სიცხე იდგა იმ დღეს და „სტადიო ბენტიჯოდის“ ტრიბუნებიც სანახევროდ ცარიელი იყო. არადა, ეს პანუეთი-იუგოსლავიის მერედფინალ